კლიმატის ცვლილება, ენერგეტიკა და გარემო

ეროვნული კონსულტაცია კლიმატის, უფლებებისა და გადაადგილების შესახებ

ეკომიგრაცია, რომელიც აკმაყოფილებს კლიმატის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების საჭიროებებს საქართველოში

ლევან დადიანი

აგვისტო, 2023

საქართველოში კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ადგილმონაცვლე პირი სამართლებრივი სტატუსით ოფიციალურად გათანაბრებულია სოციალურად დაუცველ და შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთან, რაც იწვევს მისთვის სპეციფიკური პრობლემატიკის გაუთვალისწინებლობას და შესაბამისად, გეგმაზომიერი და სისტემური მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შეფერხებას.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ადგილმონაცვლე პირების ერთიან მონაცემთა ეროვნული ბაზა დღემდე არ არსებობს.

კლიმატის ცვლილების შედეგად ადგილმონაცვლე პირების სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემები აკნინებს და რიგ შემთხვევებში არღვევს ისეთ ფუნდამენტურ ადამიანურ უფლებებს როგორიცაა: თანასწორობის უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, საკუთრების უფლება, შრომის უფლებები, საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და სხვა.

ეროვნული კონსულტაცია კლიმატის, უფლებებისა და გადაადგილების შესახებ

ეკომიგრაცია, რომელიც აკმაყოფილებს
კლიმატის ზემოქმედების
ქვეშ მყოფი თემების საჭიროებებს
საქართველოში

სარჩევი

დოკუმენტის რეზიუმე 2

1. შესავალი 3

1.1 არსებული სიტუაციის აღწერა ... 3
1.2 კვლევის მიზნები ... 5
1.3 კვლევის ამოცანები ... 5
1.4 კვლევის მოსალოდნელი შედეგები ... 5
1.5 სამიზნე ჯგუფის აღწერა ... 5
1.5.1 "ეკოლოგიური მიგრანტი"- ტერმინის განმარტება ... 6

2. ლიტერატურის მიმოხილვა 7

3. კვლევის მეთოდოლოგია 9

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი ... 9
3.1.1 შერჩევა ... 9
3.2 მონაცემთა შეგროვება ... 9
3.2.1 ინტერვიუები ეკომიგრანტებთან ... 9
3.2.2 ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან ... 10
3.2.3 განხილვები ეროვნულ დონეზე ... 10
3.3 მონაცემთა ანალიზი ... 11
3.4 მონაცემთა ვალიდურობა ... 11
3.5 კვლევის შეზღუდვები ... 11
3.6 ეთიკური ნორმები და ანონიმურობა ... 12

4. კვლევის ძირითადი შედეგები - პოლიტიკის პრობლემები და გამოწვევები 13

4.1 პოლიტიკის ადვოკატირების გზავნილები- ორიენტირები ეკომიგრანტების მხარდამჭერი პოლიტიკის გასაუმჯობესებლად ... 16

5. კვლევის ძირითადი დასკვნა და რეკომენდაცია ძირეული პოლიტიკური ხედვის შესახებ 17

გამოყენებული ლიტერატურა ... 18
აბრევიატურები ... 19

დოკუმენტის რეზიუმე

კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ ადგილმონაცვლე პირებთან მიმართებით რაიმე სამართლებრივი განსაზღვრება საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს. ქვეყანაში დღეს ფართოდ გამოიყენება ტერმინი „ეკომიგრანტი“, თუმცა იგი არაფორმალურ დეფინიციას წარმოადგენს და საგულისხმო ტექნიკურ და იურიდიულ კაზუსებს შეიცავს. აგრეთვე, ეს ტერმინი შეუსაბამობაშია საერთაშორისო სამართლის აქტებში არსებულ დეფინიციებთან.

სამართლებრივი სტატუსით კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ადგილმონაცვლე პირი ოფიციალურად გათანაბრებულია სოციალურად დაუცველ და შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთან, რაც იწვევს მისთვის სპეციფიკური პრობლემატიკის გაუთვალისწინებლობას და, შესაბამისად, გეგმაზომიერი და სისტემური მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების შეფერხებას. მხარდამჭერ პოლიტიკაში მოიაზრება ამ პირთა განსახლების, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკურ რესურსებზე მათი წვდომის, მათთვის საკუთრების დაკანონების და ჩასახლების არეალებში მათი სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ადგილმონაცვლე პირების ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ მთავრობისადმი გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, აღნიშნული ბაზა დღემდე არ შექმნილა. ამ ბაზის არსებობა ხელს შეუწყობდა ინფორმაციის გამჭვირვალობას და ინფორმირებული მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, აგრეთვე, შექმნიდა სათანადო საინფორმაციო გარემოს ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აღწერილი გარემოებებისა და პრობლემების გამო, დამატებით რისკი ექმნება ზემოთ აღნიშნული ადგილმონაცვლე პირების უფლებების შეუვალობას, რადგან დადგენილი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემები აკნინებს და, რიგ შემთხვევებში, არღვევს კიდევაც ისეთ ფუნდამენტურ ადამიანურ უფლებებს, როგორიცაა: თანასწორობის უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, საკუთრების უფლება, შრომის უფლებები, საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და სხვა მსგავსი უფლებები.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საქართველოს კონტექსტში ობიექტურად შესაძლებელია ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ადგილმონაცვლე პირებისთვის მათი შიდა გადაადგილების/მიგრაციის გამო წარმოქმნილი გარკვეული სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივების გამოკვეთაც (ე.წ. „მიგრაციის პოზიტივი“). მიგრაცია საფუძველშივე გადარჩენისა და ადაპტაციისკენ მიმართული ქმედებაა, ამიტომ მას დადებითი კონოტაციაც გააჩნია და სახელმწიფოს მიერ ამ სახის ადგილმონაცვლე პირებისადმი მხარდაჭერა უპირველესად მათი განსახლების არეალების გრძელვადიანი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებათა კომპლექსად და შესაბამისი ხელშემწყობი ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელების შესაძლებლობად უნდა იყოს განხილული.

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდთან (FES) პარტნიორობით, პროექტის „საჯარო ეროვნული კონსულტაციები კლიმატის, ადამიანის უფლებებისა და ადგილმონაცვლეობის შესახებ - ეკომიგრაცია, კლიმატის მავნე ზეგავლენით დაზარალებული სამოსახლოებისთვის საქართველოში“ (“National consultations on climate, rights, and displacement: Eco-migration that meets the needs of climate-impacted communities in Georgia”) ფარგლებში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა (CWS) და სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს (RCDA) მიერ.

პროექტის ფარგლებში გაკეთდა არსებული საკანონმდებლო-სარეგულაციო ბაზისა და ლიტერატურის ანალიზი, ველზე მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვები და ორი საჯარო შეკრება-განხილვა წალკისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო და კერძო სექტორებისა და წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში უკვე ჩასახლებული ადგილმონაცვლე პირებისა და ხულოს მუნიციპალიტეტში პოტენციური ადგილმონაცვლე პირების მონაწილეობით. აგრეთვე, პროექტის მთავარი კონსულტანტი ბონსა და ჟენევაში დაესწრო გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციასა და ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომას, გამართა კონსულტაციები კლიმატის, მიგრაციისა და ადგილმონაცვლეობის გლობალური სამოქალაქო პლატფორმის (CMDP) წარმომადგენლებთან და გაეცნო ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) მიერ ორგანიზებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, წყნარი ოკეანეთის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის რეგიონებში ჩატარებული ანალოგიური საჯარო კონსულტაციების შედეგებს. წარმოებული საკვლევი პროცესების შედეგად, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და მთიანი აჭარის შერჩეული მუნიციპალიტეტების (ნინოწმინდა, წალკა, ხულო) მაგალითზე დადგინდა არსებულ და პოტენციურ ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა; გაანალიზდა არსებული საკანონმდებლო-სარეგულაციო და სამეცნიერო მეთოდოლოგიური ბაზა; შეფასდა არსებული სახელმწიფო პოლიტიკა ეკომიგრანტებთან მიმართებაში; გამოიკვეთა პოლიტიკის სუსტი მხარეები და საერთო პრობლემატიკა და შემუშავდა რეკომენდაციები ეკომიგრანტების მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

1.1 არსებული სიტუაციის აღწერა

სპეციფიკური და რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული მოცემულობის გამო, საქართველო პოლიკლიმატური ქვეყანაა. ამიტომ კლიმატური ცვლილება ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, უფრო მტკივნეულად მიმდინარეობს, ვიდრე დიდ ქვეყნებში.

საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მკვეთრად გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები და სხვადასხვა ეკოსისტემაში (ტყეები, წყალი, ნიადაგი და სხვა.) შეინიშნება კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენების რაოდენობის ზრდის ტენდენცია: გახშირდა მეწყრები, წყალმოვარდნები, ზვავები, მდინარეების კალაპოტიდან გადმოსვლა.

საქართველო, თავისი მდებარეობით, რელიეფით, ჰიდროგრაფიული ქსელითა და გარემო პირობებით, შეიცავს როგორც ბუნებრივი (მიწისძვრა, მეწყრები, ღვარცოფები, გვალვები, ზვავები და წყალდიდობები), ისე ანთროპოგენური კატასტროფების საფრთხეებს (სატრანსპორტო და საწარმოო ავარიები). ამას ემატება ბუნებრივ რესურსებზე მაღალი ანთროპოგენური ზეწოლა, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს კატასტროფების პროვოცირებისთვის. პროგნოზების თანახმად, კლიმატის ცვლილების შედეგად, 2050 წლისთვის საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება ნავარაუდებია 0,9-1,90C-ით, ხოლო 2100 წლისთვის - 4,1-,50C--ით (Government of Georgia, 2021). გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბოლო წლებში

მკვეთრად გაიზარდა კატასტროფების სიხშირე და მასშტაბი. 1995-2020 წლებში კატასტროფების შედეგად საქართველომ 1,3 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ზარალი განიცადა. სტიქიის შედეგად დაზარალდა 700 ათასამდე ადამიანი, მსხვერპლთა რაოდენობამ კი 1000-ს მიაღწია (თევზაძე, 2020). უკანასკნელ წლებში მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირის ზრდა განპირობებულია სეისმური აქტივობის გაძლიერებით, ანთროპოგენური ზემოქმედების ზეგავლენით (დასახლებების და მიწის უსისტემო ათვისება, სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობა, ტყეების გაჩეხა და გამეჩხრება) და კლიმატის გლობალური ცვლილებებით. გეოლოგიური ხასიათის სტიქიური მოვლენებიდან ყველაზე ხშირია წყლისმიერი ეროზიული პროცესები, მეწყრული და ღვარცოფული მოვლენები, რომელთა რაოდენობა იზრდება. უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენებით დაზარალებული ან მოსალოდნელი გააქტიურების ქვეშ მყოფი 53 ათასი უბანი, რაც 2000 დასახლებულ პუნქტსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის 25-30%-ს მოიცავს (თევზაძე, 2020).

მხოლოდ ღვარცოფებისგან მიყენებული ეკონომიკური ზარალი, საშუალოდ, წელიწადში 100 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ამასთან, ნავარაუდებია სითბური ტალღების სიხშირისა და ოდენობის ზრდა, ნალექიანობის რეჟიმის ცვლილება, გაუდაბნოება და მიწის რესურსების შემდგომი დეგრადაცია, ზღვის დონის აწევა და სხვა ექსტრემალური მოვლენების გახშირება, რაც ქმნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ღონისძიებების სასწრაფოდ გატარების აუცილებლობას (თევზაძე, 2020). 1980 წლიდან ბუნებრივი კატასტროფები, როგორიცაა გახშირებული მეწყრები, წყალმოვარდნები, ზვავები, მდინარეების კალაპოტიდან გადმოსვლა და სხვა, იწვევდა მოსახლეობის გადაადგილებას განსაკუთრებით მთიანი და მთის წინა დასახლებებიდან. მოსახლეობის მნიშვნელოვან გადაადგილებას ადგილი ჰქონდა 1987 წელს ზემო სვანეთიდან კახეთში და ქვემო ქართლში, 1989 წელს მთიანი აჭარიდან შიდა ქართლში, კახეთში და სამცხე-ჯავახეთში. ორივე რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი გახდა დიდთოვლიანობა, რომელმაც გამოიწვია ზვავები და მეწყრული მოვლენები. ამ ორი მოვლენის შედეგად, გასახლებული იქნა 10 000-ზე მეტი ადამიანი. პერიოდულად განმეორებადი ბუნებრივი კატასტროფები აიძულებს ათასობით ოჯახს და ადამიანს, დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან იცხოვროს სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 1980 წლიდან 3000-ზე მეტი დასახლება, 400 000 ადამიანი იმყოფება ბუნებრივი კატასტროფების საფრთხის წინაშე და ექვემდებარებიან ან განსახლებას, ან საჭიროებენ საცხოვრებელი სახლების საფუძვლიან შეკეთებას (ლაილი, 2012). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეფასებით, ამ ოჯახებისათვის სრული შემწეობის გაწევა, საშუალოდ, 100-150 მილიონი დოლარის ინვესტირებას მოითხოვს (Green alternative, 2022). ბევრი ოჯახი აჭარის, ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის რეგიონებიდან გადაადგილდება/მიგრირებს სტიქიურად, ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, რაც რელოკაციის ადგილებში უქმნის მათ სირთულეებს დახმარების სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის საქმეში, საცხოვრებელი სახლების შეძენაში და არ მიუწვდებათ ხელი სათანადო საწარმოო რესურსებზე (Green alternative, 2022).

საქართველოს ეკომიგრაციის პროგრამა ითვალისწინებს მოკრძალებული სახელმწიფო დახმარების გაწევას ეკოლოგიური კატასტროფების ან სხვა ექსტრემალური ეკოლოგიური ფაქტორების გამო გადაადგილებული პირებისთვის. თუმცა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (CWS) და სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს (RCDA) მიერ 2021 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არ არსებობს სამართლებრივი დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკომიგრანტების საცხოვრებელ ფართზე, მიწაზე, წყალსა და სანიტარიულ პირობებზე, საარსებო წყაროს ან შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მინიმალურ სტანდარტებს (Abdusheleishvili, 2021). არსებული მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბაზა სრულად არ ასახავს ეკოლოგიური მიგრანტების წინაშე მდგარ საჭიროებებსა და შეზღუდვებს და არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობას. ნაკლები ყურადღება ექცევა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ეკომიგრაციას საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციებისა და დამფინანსებლების მხრიდან, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოს სამთავრობო ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. ეკომიგრანტების განსახლებაზე პასუხისმგებელი ყოვლისმომცველი პოლიტიკისა და რესურსების ნაკლებობამ ათასობით ადამიანი სახიფათო ან გაურკვეველ პირობებში დატოვა. განსახლებას დაქვემდებარებულ ბენეფიციარებთან არამკაფიო და სუსტი კომუნიკაციის შედეგად, ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებული თავიანთი უფლებების შესახებ, რაც აძლიერებს სპეკულაციას თანხების ბოროტად გამოყენების თაობაზე,

როგორც განსახლებამდე, ასევე განსახლების შემდეგ.

გარდა ამისა, განსახლების თაობაზე დახმარების გამოყოფაზე ზედამხედველობის ნაკლებობამ ბევრი ეკომიგრანტი დატოვა მიწის, ადეკვატური საცხოვრებელი და სოციალური სერვისების გარეშე (Abdusheleishvili, 2021).

1.2 კვლევის მიზნები

(ა) ეკომიგრანტების წარსული გამოცდილების დადგენა მათ ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით, მათ შორის, ეკომიგრანტების ოჯახებსა და თემებზე ადგილმონაცვლეობის დადებითი და უარყოფითი გავლენის შესახებ;

(ბ) აღნიშნული გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკომიგრაციის პროგრამებისა და დაგეგმილი რელოკაციის პოლიტიკის განსაზღვრისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

1.3 კვლევის ამოცანები

1. საქართველოში ეკოლოგიური მიგრაციის გრძელვადიანი სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის რეკომენდაციების შემუშავება.
    - არსებული ეკომიგრაციული პოლიტიკის შეფასება.
    - არსებული ეკომიგრაციული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავება.
    - ეკომიგრაციისა და განსახლების მიმართ სისტემატური და გამჭვირვალე მიდგომის შემუშავების მხარდაჭერა.
2. ეკომიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და მიგრანტების უფლებების გაძლიერების ინიციატივების ხელშეწყობა.
    - ეკომიგრანტთა უფლებების ადვოკატირება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
3. შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ეკომიგრანტების საჭიროებებისა და გამოწვევების ანალიზი და რეკომენდაციების გაცემა.
    - თემების სამართლიანი სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

1.4 კვლევის მოსალოდნელი შედეგები

1. ცნობიერების ამაღლება თემებში, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამთავრობო სტრუქტურებში
2. შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ეკომიგრანტების საჭიროებების, პრობლემებისა და გამოწვევების ანალიზი.
3. ადგილობრივი ხელისუფლების, მუნიციპალური და რეგიონული მთავრობების ინფორმირება და ჩართვა ეკომიგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესებაში.
4. კვლევის შედეგების და ადვოკატირების დოკუმენტის წარდგენა ეროვნული/საერთაშორისო აქტორებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის.

1.5 სამიზნე ჯგუფის აღწერა

გაეროს უკანასკნელი მონაცემებით, გლობალურად, ბუნებრივი სტიქიის შედეგად ადგილმონაცვლე ადამიანების ჯამურმა რაოდენობამ ყოველწლიურად 25 მილიონ კაცს გადააჭარბა (McAuliffe & Triandafyllidou, 2022). სამწუხაროდ, საქართველოს ამ კუთხით რამდენადმე კვალიფიციური მონაცემები არ გააჩნია. ღია წყაროებში მოიპოვება მხოლოდ სახალხო დამცველის საერთო შეფასება, რომ 1988-2013 წ.წ. პერიოდში ბუნებრივი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საერთო რაოდენობა 35,000 ოჯახს აჭარბებს, რაც ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობაზე გადაანგარიშებით (3,7 კაცი), დაახლ. 130,000 კაცია (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013). მართალია, გლობალური სტატისტიკისთვის ეს ციფრი უმნიშვნელოა, თუმცა საქართველოსნაირი მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის საკმაოდ საგულისხმოა, რადგან ქვეყნის ამჟამინდელი მოსახლეობის 3,5%-ს აჭარბებს. სამწუხაროდ, აღნიშნული მოსახლეობიდან ადგილმონაცვლეთა ზუსტი რაოდენობის სრულყოფილი აღწერა აქამდე არ განხორციელებულა და დღემდე არც შესაბამის მონაცემთა ცენტრალიზებული და ინტეგრირებული ბაზა არსებობს.

საქართველოს შემთხვევაში ადგილი აქვს ბუნებრივი სტიქიის შედეგად ადგილმონაცვლეთა ქვეყნის შიგნითვე, რეგიონთაშორის მიგრაციას და აღნიშნული მიზეზით მოსახლეობის მიერ ქვეყნის საზღვრების კვეთა არ ფიქსირდება. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ამ ტიპის ადგილმონაცვლეთა აბსოლუტური უმრავლესობა სასოფლო დასახლებებიდან არის ადგილნაცვალი და სხვა სასოფლო დასახლებებში ჩასახლებული, ანუ საქართველოს ბუნებრივი სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებულების აბსოლუტური უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო სექტორში თვითდასაქმებულები, ანუ ფერმერები არიან.

საქართველოში შიდა მიგრაციული პროცესების გაუარესება გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, მჭიდროდ დასახლებული მაღალმთიანი

ტერიტორიებიდან იწყება, კერძოდ, ზემო სვანეთისა და მთიანი აჭარის რეგიონებიდან, საიდანაც ბოლო 30 წლის განმავლობაში კლიმატური ცვლილებების შედეგად გახშირებული წყალდიდობის, მეწყრისა და ზვავების გამო უსახლკაროდ და საარსებო საშუალებების გარეშე დარჩენილი ათეულ ათასობით ადამიანი ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩამოსახლდა, თუმცა ამ ხალხის პრობლემები და საჭიროებები, სამწუხაროდ, კვლავაც და დიდწილად ჯეროვანი ყურადღების მიღმა რჩება (ლაილი, 2012).

დღესდღეობით საქართველოში ბუნებრივი სტიქიის გამო ადგილმონაცვლეთა ყველაზე დიდი ნაკადი მაღალმთიანი აჭარიდან მოემართება, რადგან ეს ტერიტორიები მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით, მიწის სიმწირითა და სტიქიურ უბედურებათა მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. მათი განაწილება უმეტესწილად ქვემო ქართლისა (უმეტესად წალკა) და სამცხე-ჯავახეთის (ნინოწმინდა) მუნიციპალიტეტებში ხდება. აღნიშნული ტერიტორიები მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვითა და სასოფლო-სამეურნეო მიწების შედარებითი სიჭარბით გამოირჩევა, რაც ამ არეალებში, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის გეგმაზომიერი და ეფექტიანი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ადგილობრივი ეკონომიკის გააქტიურების და გამოცოცხლების ფრიად საინტერესო პერსპექტივებს ქმნის.

1.5.1 „ეკოლოგიური მიგრანტი“- ტერმინის განმარტება

საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში ბუნებრივი სტიქიური მოვლენების გახშირებისა და ამით გამოწვეული შიდა საემიგრაციო ნაკადების თანადროულად, სტიქიურად ჩნდება იმ დროისთვის ახალი ტერმინი „ეკოლოგიური მიგრანტი“, შემოკლებულად - ეკომიგრანტი. 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში ეს ტერმინი საკმაოდ დამკვიდრებული განსაზღვრებაა იმ ადამიანებისა, რომელთაც საკუთარი სამოსახლოს დატოვება და გადასახლება მოუწიათ ბუნებრივ-კლიმატური პირობების გაუარესების გამო, რამაც მათი სამოსახლო და საწარმოო ბაზა საცხოვრებლად უვარგისი ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში გახადა. აღნიშნული ტერმინი გვხვდება სასაუბრო ენაში, სამეცნიერო ლიტერატურაში, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დოკუმენტაციასა და სახალხო დამცველის ოფიციალურ ანგარიშშიც კი, თუმცა იგი არ წარმოადგენს სამართლებრივ ტერმინს და ქვეყნის საკანონმდებლო-სარეგულაციო ბაზა მას არ ცნობს. ქართულ საკანონმდებლო ნორმატიულ დოკუმენტებში გვხვდება ტერმინი „სტიქიით დაზარალებული“, რაც არ შეიცავს ადგილმო- ნაცვლე ან სტიქიური უბედურების გამო იძულებით გადაადგილებული პირის კონოტაციას. მიუხედავად ამ ტერმინის ფართო გავრცელებისა, მისი სამართლებრივი აღიარებისა და საერთაშორისო სამართალთან სინქრონიზირებისთვის აუცილებელია იმგვარი კონოტაციების გათვალისწინება, რომელიც შეიცავს როგორც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი სტიქიური უბედურების, აგრეთვე იძულებით გადაადგილებისა და/ან ადგილმონაცვლეობის ასპექტებს. თვითონ ტერმინი „ეკომიგრანტიც“ მოკლებულია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენის შემცველ კონოტაციას და, სავარაუდოდ, საერთაშორისო სამართალში იგი როგორც კონტექსტუალურ, ასევე, რიგ შემთხვევებში, ლინგვისტურ გაუგებრობასაც გამოიწვევს. მაგალითად, ფრანგულენოვანი ქვეყნებისთვის შემოკლებული ნაწილაკი „ეკო“ ეკონომიკასთან ასოცირდება და არა ეკოლოგიასთან. საერთაშორისო სამართალში ამ ტერმინებთან დაკავშირებით განხილვები და დისკუსია დღესაც მიმდინარეობს და, შესაბამისად, გასათვალისწინებელია საერთაშორისო პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებული და გამოყენებული ტერმინები, როგორებიცაა: „კლიმატ ლტოლვილი“ (Climate refugee), „კლიმატით გამოწვეული მიგრაცია/ადგილ-მონაცვლეობა“ (Climate Induced Migration/Displacement), აშშ იყენებს ტერმინს „კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიგრაცია“, ხოლო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - „გარემოს მიგრანტი“ (Environmental Migrant). აგრეთვე ადგილი აქვს ახალი ტერმინების დამკვიდრების ტენდენციებსაც, როგორიცაა, მაგალითად, „კლიმატ-მობილურობა“ (Climate Mobility), რომელიც აერთიანებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ადგილმონაცვლეობის კონოტაციებს, აგრეთვე ყურადსაღებია ტერმინების - „მიგრაცია“ (migration) და „ადგილმონაცვლეობა“ (displacement)- შორის განხილვადი კონოტაციური სხვაობაც, სადაც მიგრაცია ნებაყოფლობით გადაადგილებას გულისხმობს, ხოლო „ადგილმონაცვლეობა“ - იძულებითს (UN General Assembly, 2023). ყოველი ზემოთქმულის გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური უბედურების შედეგად ნებაყოფლობითი თუ იძულებითი მიგრაციის/ადგილმონაცვლეობის სამართლებრივი დეფინიციის შესამუშავებლად.

2
ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის ანალიზმა მოიცვა კვლევასთან დაკავშირებული კრიტიკულად მნიშვნელოვანი დოკუმენტების ანალიზი, როგორიცაა ეროვნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ანგარიშები, შესაბამისი თემატური კვლევები, ანალიზი და სხვა. შედეგად, ლიტერატურის ანალიზის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა შესაბამისი პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას, ასევე დაინტერესებული მხარეების დადგენისა და მობილიზებისთვის.

თავდაპირველად ლიტერატურის ანალიზმა გამოავლინა, რომ 2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის კუთხით საკმაოდ საგულისხმო სამუშაო იქნა განხორციელებული, რაც საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშს ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, სადაც წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013). სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროექტს დაეხმარა შედარებითი ანალიზის წარმოებაში ათი წლის წინანდელ და დღევანდელ მდგომარეობას შორის, რის მიხედვითაც უმთავრესი დასკვნა არის ის, რომ მდგომარეობა მას მერე რამდენადმე არ გაუმჯობესებულა და ამ კატეგორიის ადგილმონაცვლეთა პრობლემატიკაზე რეაგირების სისტემატურობისა და ადმინისტრირების კუთხით, სამწუხაროდ, საგულისხმო პროგრესს ადგილი არ აქვს.

საკანონმდებლო-სარეგულაციო ბაზის კამერალური კვლევის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების გამო ადგილმონაცვლე/იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ საქართველოს სპეციფიკური საკანონმდებლო-სარეგულაციო ბაზა არ გააჩნია.

იძულებით გადაადგილებული პირის განმარტება მოცემულია 2014 წლის კანონში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ (მუხლი 6, პუნქტი 1) (საქართველოს პარლამენტი, 2014). ხსენებული განმარტება არ მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ/ადგილმონაცვლე პირის ცნებას. აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტებში მოიპოვება სათანადო ფუნქციური ჩანაწერები ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შედეგად ადგილმონაცვლე პირების მიმართ ხელისუფლების გარკვეული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, კერძოდ: **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**- „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (შემდგომში – ეკომიგრანტთა) სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია.“ სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ვალდებულება, კერძოდ, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხების რეგულირება, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული ეკომიგრაციული ნაკადის აღრიცხვა (საქართველოს მთავრობა, 2018). ხსენებული განმარტება არ მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით

გადაადგილებულ/ადგილმონაცვლე პირის ცნებას.

ადგილობრივი თვითმმართველობები - 2014 წლამდე ძალაში მყოფი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სოფლის რწმუნებული ვალდებული იყო, გამგებლისთვის (მერისთვის) პერიოდულად წარედგინა ინფორმაცია ეკომიგრანტების რაოდენობისა და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ („ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი). 2014 წლის მარტიდან კი, თვითმმართველობის კოდექსის მიღების შემდეგ, ,,თვითმმართველობის შესახებ'' ორგანული კანონი ძალას კარგავს და, შესაბამისად, ხსენებული ფუნქციაც იკარგება (საქართველოს პარლამენტი, 2014).

საგადასახადო შეღავათები - საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დაზიანებული ბინების სანაცვლოდ უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება იმავე დასახლებულ პუნქტებში ან ეკომიგრანტებით დასახლებულ სხვა პუნქტში, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 82, პუნქტები „მ" და „ნ" (საქართველოს პარლამენტი, 2010).

ჯანდაცვა - რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (პუნქტი 2) გათვალისწინებულია ბუნებრივი სტიქიისგან დაზარალებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (საქართველოს მთავრობა, 2022); ანალოგიური ვალდებულებები არსებობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სტრუქტურულ ერთეულთა დებულებებში.

3
კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითი პროექტის უმთავრეს მიზანს საქართველოში ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის დადგენა, არსებული სახელმწიფო მხარდამჭერი პოლიტიკის ნაკლოვანებათა გამოკვეთა და პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებათა ადვოკატირება წარმოადგენს. პროექტის განხორციელებისას, აღნიშნული მიზნების მისაღწევად, გამოყენებული იქნა კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგია, როგორიცაა კამერალური კვლევა ლიტერატურის ანალიზის სახით, ასევე ნახევრად სტრუქტურირებული გამოკითხვები დაინტერესებული ორგანიზაციებისა და უშუალოდ ეკომიგრანტების, ასევე რესპონდენტების შერჩევისას გამოიკითხა როგორც უკვე ადგილნაცვალი, ასევე პოტენციური ეკომიგრანტები, ხოლო დაინტერესებული ორგანიზაციებიდან გამოიკითხა როგორც ადგილობრივი ხელისუფლება და შესაბამისი სამსახურები, აგრეთვე, სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ალიანსები და პლატფორმები ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) სახით.

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ეკომიგრანტები და ადგილობრივი მაცხოვრებლები 5 სასოფლო თემში - ღორჯომში, თრიალეთში, კავთაში, გორელოვკასა და სპასოვკაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების საფრთხის შედეგად განსახლებულ ორ მუნიციპალიტეტში - წალკასა და ნინოწმინდაში, აგრეთვე ხულოს მუნიციპალიტეტში, საიდანაც ეკომიგრანტთა უმეტესობის რელოკაცია განხორციელდა.

არსებული ეკომიგრანტი თემების უფლებებსა და საჭიროებებზე ფოკუსირებით, კვლევა ყურადღებას ამახვილებს ეკოლოგიური პრობლემებისაგან გამოწვეულ გადაადგილებულ პირთა გამოცდილებაზე ახალი და გაუმჯობესებული კლიმატის მობილობის პოლიტიკის იდენტიფიცირებაში. საველე კვლევის განმავლობაში სათემო დისკუსიებში და ეროვნული მრგვალი მაგიდის კონსულტაციებში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ქალები, ახალგაზრდები და უხუცესები.

3.1.1 შერჩევა

ამ კვლევითი პროექტისთვის ხუთი სამიზნე თემის შერჩევა ეფუძნებოდა რამდენიმე ფაქტორსა და მოსაზრებას. თემის შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

1. კლიმატის ცვლილება და გადაადგილების რისკები: თემები შეირჩა კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისადმი მათი დაუცველობისა და გადაადგილების მნიშვნელოვანი რისკების არსებობის საფუძველზე.
2. გეოგრაფიული წარმომადგენლობა: გაწეული იყო ძალისხმევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გეოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თემების შერჩევით, კვლევა მიზნად ისახავდა ეკოლოგიური მიგრაციის შაბლონებისა და გამოწვევების უფრო ფართო გაგებას ქვეყნის მასშტაბით.
3. ეკომიგრაციის წინა შემთხვევები: პრიორიტეტი მიენიჭათ თემებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ეკომიგრაცია ან განსახლება კლიმატის ცვლილების ან გარემო ფაქტორების შედეგად. ამან საშუალება მისცა კვლევას, მიეღო ინფორმაცია ამ თემებისა და მათი მაცხოვრებლების სპეციფიკურ გამოწვევებსა და საჭიროებებზე.
4. თანამშრომლობა და პარტნიორობა: შერჩევის პროცესი ასევე ეფუძნება არსებულ თანამშრომლობასადაპარტნიორობასადგილობრივ ხელისუფლებასთან, სამთავრობო ორგანოებთან, სათემო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მუნიციპალიტეტი	თემი	რესპონდენტი			ასაკი		
		ქალი	კაცი	სულ	18-34	35-64	65+
ნინოწმინდა	სპასოვკა	8	12	20	3	13	4
	გორელოვკა	11	9	20	7	10	3
წალკა	თრიალეთი	6	14	20	5	11	4
	კავთა	8	12	20	4	14	2
ხულო	ღორჯომი	7	13	20	6	10	4
სულ		40	60	100	25	58	17

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, წალკის, ნინოწმინდისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, გამოვლინდა ღორჯომის, თრიალეთის, კავთის, გორელოვკისა და სპასოვკის ხუთი თემი, როგორც ვარგისი კვლევითი პროექტისთვის.

3.2 მონაცემთა შეგროვება

კვლევითი პროექტის მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა მეთოდით, რათა უზრუნველყოფილიყო ეკომიგრაციის ყოვლისმომცველი გაგება სამიზნე თემებში. მონაცემთა შეგროვების პირველადი მეთოდები მოიცავდა:

3.2.1 ინტერვიუები ეკომიგრანტებთან

პირველადი ინფორმაცია შეგროვდა თვისებრივი კვლევის მეთოდის ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გამოყენებით. ინფორმაცია შეგროვდა პროექტის სამიზნე მოსახლეობისგან (ეკომიგრანტები და პოტენციური ეკომიგრანტები), დაინტერესებული უწყებებისგან და ორგანიზაციებისგან (ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ხელისუფლება, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები).

ინტერვიუები განხორციელდა დაქირავებული კვლევითი ჯგუფის მიერ, პროექტის გუნდის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით. გამოცდილმა ინტერვიუერებმა ადგილზე პირისპირ ჩაატარეს ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ სამიზნე აუდიტორიასთან. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა წალკის, ნინოწმინდისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ხუთ თემში (კავთა, თრიალეთი, გორელოვკა, სპასოვკა, ღორჯომი). კვლევის ფარგლებში თითოეულ თემში გამოიკითხა ოცი ადამიანი, ჯამში ჩატარდა 100 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. რესპონდენტები შეირჩა თოვლის გუნდისა და მიზნობრივი შერჩევის პრინციპით, რითაც უზრუნველყოფილი იყო სამიზნე ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობა.

გარდა ამისა, კვლევის პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი იყო ადეკვატური კონტაქტი, კონსულტაციები და ჩართულობა პროექტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, აგრეთვე მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის სამთავრობო ორგანოებთან.

3.2.2 ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან

ეკომიგრანტ ოჯახებთან ინტერვიუების გარდა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ,,დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტთან'', ნინოწმინდის, ხულოს და წალკის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

(IOM), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), საქართველოს ეკოლოგიურ ფერმერთა ასოციაცია (SEMA)), საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან. ამ ინტერვიუებმა მოგვცა ღირებული ინფორმაცია თითოეულ მუნიციპალი-ტეტში არსებული პოლიტიკის, პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატით გამოწვეულ გადაადგილებასთან. საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 15 პირისპირ ინტერვიუ სხვადასხვა დონეზე დაინტერესებულ მხარეებთან.

3.2.3 განხილვები ეროვნულ დონეზე

სიღრმისეული ინფორმაციის შეგროვების მიზნით, სამიზნე ჯგუფებთან კვლევის განმავლობაში ჩატარდა დისკუსიები ეროვნულ დონეზე. განხილვები ეროვნულ დონეზე გაიმართა სპეციალურად შემუშავებული სადისკუსიო დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც ჩამოყალიბდა კვლევის საწყის ეტაპზე. კვლევის განმავლობაში გაიმართა 2 განხილვა ეროვნულ დონეზე, რომელიც წარიმართა წალკისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. თითო განხილვაში მონაწილეობა მიიღო 25-მა დაინტერესებულმა პირმა, რომლებიც შეირჩნენ მიზნობრივი შერჩევით (ეკომიგრანტების, ადგილობრივი ხელისუფლების, სამთავრობო ორგანოების, სათემო ორგანიზაციების, საერთაშორისო არასამთავრობო - IOM, ICMPD, UNDP, და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა). განხილვები ჩატარდა ორ ეტაპად, პირველი განხილვა ჩატარდა პროექტის საწყის ეტაპზე ეკომიგრანტების საჭიროებებზე წვდომის და მოქმედებების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრის მიზნით, ხოლო მეორე განხილვა გაიმართა პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის განსახილველად.

3.3 მონაცემთა ანალიზი

შეგროვებულმა მონაცემებმა გაიარა ანალიზის პროცესი მნიშვნელოვანი შეხედულებებისა და დასკვნების მისაღებად. ანალიზი მოიცავდა შემდეგ ნაბიჯებს:

1. ტრანსკრიფცია: ინტერვიუები და დისკუსიები გადაიწერა ჩაწერილი ინფორმაციის წერილობით ფორმატში გადასაყვანად.
2. მონაცემთა კოდირება: ინტერვიუების ტრანსკრიპცია და კოდირება მოხდა ძირითადი თემებისა და შაბლონების დასადგენად. კოდირება მოიცავდა პასუხების კატეგორიზაციას და მონაწილეთა მიერ გამოხატულ კონკრეტულ ცნებებსა თუ იდეებზე ეტიკეტების მინიჭებას.
3. მონაცემთა შემცირება: კოდირებული მონაცემები იყო შეკუმშული და ორგანიზებული ძირითადი დასკვნებისა და შეხედულებების გამოსატანად ეს პროცესი მოიცავდა ინფორმაციის შეჯამებასა და სინთეზს.
4. თემის იდენტიფიკაცია: კოდირებული მონაცემების სისტემატური მიმოხილვით, გამოვლინდა საერთო თემები და შაბლონები. ეს პროცესი მოიცავდა მონაცემების მნიშვნელოვან კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად ორგანიზებას ძირითადი დასკვნების გამოსატანად.
5. მონაცემთა ინტერპრეტაცია: კოდირებული მონაცემები და იდენტიფიცირებული თემები გაანალიზებული და ინტერპრეტირებული იყო ძირითადი მნიშვნელობების, ურთიერთობებისა და შედეგების გამოსავლენად ეკომიგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციების, გამოწვევების და შესაძლებლობების დასადგენად. ეს პროცესი მოიცავდა დასკვნების სინთეზს და კავშირების გაბმას სხვადასხვა მონაცემთა წერტილებს შორის.

3.4 მონაცემთა ვალიდურობა

კვლევის შედეგების ვალიდობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად, რამდენიმე ნაბიჯი იქნა გადადგმული:

1. ტრიანგულაცია: მონაცემების წყაროები, მათ შორის ინტერვიუები ეკომიგრანტ ოჯახებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, გამოყენებული იქნა დასკვნების დასადასტურებლად. სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის სიახლოვემ გაზარდა კვლევის სანდოობა და სიმტკიცე.
2. მიმოხილვა: კვლევის შედეგები და ანალიზი განიხილებოდა ეკომიგრაციის სფეროს მცოდნე ექსპერტთა და მკვლევართა ჯგუფის მიერ. მათი ჩართულობა უზრუნველყოფდა დამატებით ვალიდაციას და დაეხმარა კვლევას პოტენციური მიკერძოების ან შეზღუდვების თავიდან არიდებაში.
3. მონაცემთა შემოწმება: მთავარ ინფორმატორებს, მათ შორის ეკომიგრანტ ოჯახებს და დაინტერესებულ მხარეებს, მიეცათ შესაძლებლობა, განეხილათ დასკვნები და დაედასტურებინათ მათი სიზუსტე და ინტერპრეტაცია. ეს პროცესი დაეხმარა მონაცემთა ავთენტურობის უზრუნველყოფას.
4. ანონიმურობა და ეთიკური მოსაზრებები: კვლევის პროცესში დაცული იყო მკაცრი ეთიკური ნორმები. უზრუნველყოფილი იყო მონაწილეთა ანონიმურობა და მათი ინფორმირებული თანხმობა მიღებულ

იქნა ინტერვიუების ჩატარებამდე. დაცული იყო შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობა და ყველა ეთიკური ნორმა.

3.5 კვლევის შეზღუდვები

მნიშვნელოვანია გამოვყოთ კვლევითი პროექტის შეზღუდვები:

1. შერჩევის ზომა: კვლევის ერთ-ერთი პოტენციური შეზღუდვა არის რესპონდენტთა შედარებით მცირე ზომის შერჩევა. მიუხედავად იმისა, რომ მცდელობა იყო მონაწილეთა მრავალფეროვანი, არაჰომოგენური შერჩევის, შესაძლოა, ისინი სრულად არ წარმოადგენდნენ ეკომიგრაციის მრავალფეროვნებას და სირთულეს მთლიანად საქართველოში. რამდენადაც კვლევა ფოკუსირებული იყო ხუთ სამიზნე თემზე, დასკვნების განზოგადება შერჩეული თემების მიღმა უნდა მოხდეს სიფრთხილით.
2. მონაწილეთა მხრიდან მონაცემთა ინტერპრეტაცია: რესპონდენტთა მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დამოკიდებულება, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს მიკერძოებას და ფაქტების შეცდომით დამახსოვრებას. მონაწილეთა პასუხებზე შეიძლება გავლენა იქონიოს მათმა პირადმა გამოცდილებამ, აღქმებმა და მოტივაციამ.
3. დროისა და რესურსების შეზღუდვა: კვლევა ჩატარდა კონკრეტულ ვადებში და შეზღუდული რესურსებით. ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სიღრმისეულობაზე და ეკომიგრაციის ზოგიერთი ასპექტი შესაძლოა ბოლომდე არ იყოს შესწავლილი.
4. სუბიექტურობა: მონაცემთა ინტერპრეტაცია და განსახილველი თემების იდენტიფიცირება მოიცავდა სუბიექტურ განსჯას. მიუხედავად იმისა, რომ მიკერძოებულობის მინიმუმამდე შემცირების მცდელობა იყო, ცალკეულმა პერსპექტივებმა და ინტერპრეტაციებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ანალიზის პროცესზე.
5. გარდა ამისა, კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა თვისებრივ მონაცემებს, რომლებიც მიღებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით, რამაც შეიძლება შეზღუდოს ანალიზი ან რაოდენობრივი შეფასება.

3.6 ეთიკური ნორმები და ანონიმურობა

კვლევის პროცესში პრიორიტეტული იყო ეთიკური მოსაზრებები, სტანდარტები და ნორმები. რესპონდენტები წინასწარ გაეცნენ საინფორმაციო ფურცელს, რომელიც ასახავდა კვლევის მიზანს, პროცედურებს და მათ ნებაყოფლობით მონაწილეობას კვლევაში, რაზეც სიტყვიერი თანხმობა განაცხადეს. მონაწილეთა ანონიმურობის უზრუნველსაყოფად, კვლევაში გამოყენებულია ფსევდონიმები. ფსევდონიმების გამოყენებით დაცულია რესპონდენტთა კონფიდენციალურობა. მონაწილეები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები, რამაც მონაწილეთა მხრიდან ღია და გულწრფელი პასუხების გაცემა შესაძლებელი გახადა მათი პირადი ინფორმაციის გამჟღავნების შიშის გარეშე.

4
კვლევის ძირითადი შედეგები - პოლიტიკის პრობლემები და გამოწვევები

პროექტის ფარგლებში წარმოებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ეკომიგრანტები სოფლად ქვეყნის მოსახლეობის არც თუ ისე მცირე სეგმენტს წარმოადგენენ და მათი უმრავლესობის განსახლების არეალები ხასიათდება საკმაოდ საგულისხმო ეკონომიკური პოტენციალით. ამ რეგიონებში (სამცხე ჯავახეთი და ქვემო ქართლი) მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ დაბალია, ხოლო საწარმოო რესურსების კონცენტრაცია მიწების სახით - საკმაოდ მაღალი. ადგილზე სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდის ხელშეწყობა უთუოდ შეუწყობდა ხელს ადგილნაცვალი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა მთლიანად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სტატუსის ამაღლებაში და შეამცირებდა სურსათის იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულებას. ამ მიზნების მისაღწევად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში პოტენციალი არსებობს როგორც საწარმოო ბაზის, ასევე ეკომიგრანტების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების სახით, თუმცა დღეს-დღეობით პრობლემას წარმოადგენს ამ მოსახლეობის საწარმოო რესურსებზე და კაპიტალზე წვდომა. ეკოლოგიურ მიგრანტთა მდგომარეობა გაუმჯობესებას საჭიროებს განსაკუთრებით სოციალური და ეკონომიკური უფლებების კუთხით, რაც ძირითადად გამოიხატება მათ ადგილობრივ საზოგადოებასთან არასაკმარის სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციაში.

კამერალური და საველე კვლევის შედეგად, ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელი მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შემაფერხებელი შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემური მიდგომის არ არსებობა - "ეკოლოგიური მიგრანტი", როგორც სამართლებრივი ტერმინი და მისი იურიდიული განსაზღვრება, საქართველოს კანონმდებლობაში დღემდე მიღებული არ არის და, შესაბამისად, სტიქიური მოვლენებისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ადგილმონაცვლე პირებისთვის საქართველოში არც ოფიციალური სტატუსი არსებობს. აღნიშნული იწვევს ეკომიგრანტების მხარდამჭერი გეგმაზომიერი და სისტემური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შეფერხებას. ეკომიგრანტის ოფიციალური სტატუსის მიღება ხელს შეუწყობდა ერთიანი ეროვნული სტანდარტის შექმნასა და შესაბამისი მხარდამჭერი პოლიტიკის გამომუშავებას. ეკომიგრანტი სოფელი სპასოვკიდან პირისპირ ინტერვიუში აღნიშნავს:

> *„აუცილებლად უნდა მოგვეცეს მიგრანტის სტატუსი ამაზე დიდი ხანია ლაპარაკი მიდის. ჩვენ რომ ეს სტატუსი მოგვეცემა, რა ვიცი, ოქროს კოშკებს კი არ მოვითხოვთ. უბრალოდ, ჩვენი იქნება აი, ამ სტატუსის შესაბამისად, რაღაცა პრივილეგიით ვისარგებლებთ. მამაპაპისეული მიწა გვაქვს დატოვილი, სასაფლაოები, გვენატრება, ჩვენც რაღაცა ზომისტკივილი გვაქვს. აქაც გაურკვევლობაში ვართ, სახლი არ არის შენი, მიწის ნაკვეთი არ არის შენი, და რა ვიცი, მიგრანტს ცოტა მეტი ყურადღება უნდა მიექცეს". (რესპონდენტი, ეკომიგრანტი სოფ. სპასოვკა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)*

2. საწარმოო რესურსებზე შეზღუდული წვდომა და მათი არაგეგმაზომიერი და არასამართლიანი განაწილება - უთანასწორობა - საველე კვლევა წარმოებულ იქნა ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში (ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპალიტეტები), შესაბამისად, სწორედ ამ რეგიონების რესურსული ბაზა და პოტენციალი იგულისხმება. ნინოწმინდასა და წალკაში ზემო აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტების გამოკითხვები ნათლად აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების ბალანსზე დღემდე რიცხული სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ფართობები დაუმუშავებელი და აუთვისებელი რჩება

და ეკომიგრანტებს არ ეძლევათ ამ ფართობებზე ეკონომიკური საქმიანობის ფართოდ წარმოების საშუალება. ნინოწმინდის გამგეობის თანამშრომელი საუბრობს, რომ:

> *„აუქციონებით მიწის გაცემა უნდა შეწყდეს და ამ ხალხს იჯარით მიეცეს საშუალება დაამუშავონ და ცხოველები გამოკვებონ. ძირითადად მეცხოველეობას მისდევენ და ხშირია შემთხვევები, რაც გამიგია, მიწას ქირაობენ რომ საქონელი სადმე გააჩერონ. გამოზამთრებაც უნდა, ზოგს 60-100 სულ ჰყავს და ცალკე ხარჯია. მაგის გარდა, რძის ჩამბარებლები უნდა გაიხსნას. კოოპერატივები უნდა შეიქმნას, მაგრამ ეგ ვერ იქმნება. ერთი-ორი შემთხვევა იყო და ვერ იმუშავა. ადგილობრივად რთულია მაგის გამოსწორება. ცენტრალური უნდა ჩაერთოს და რაღაც გეგმა იყოს, რას ვუშვებით ამ ხალხს“. (რესპოდენტი, ნინოწმინდის გამგეობის თანამშრომელი)*

ჩასახლებისას ეკომიგრანტების ოჯახებს კომლზე 2 ჰექტარი მიწის ფართობი გამოეყოთ, თუმცა საკუთრებაში დღემდე არ გადასცემიათ. აღნიშნული ფართობი საკმაოდ მცირეა მასშტაბის ეკონომიკის მისაღწევად - იგი მხოლოდ თვითუზრუნველყოფისთვის კმარა. ეკომიგრანტი სოფელი გორელოვკიდან აღნიშნავს:

> *„მესაქონლეები რომ ვართ, 2 ჰექტარი მიწა რას გეყოფა?! სულ ვქირაობთ. ერთ წელს აქ გვაძლევენ, მერე იქ, მესამე წელს იქ. ჩვენი წამყვანი წყაროა ძროხა. სხვა აქ კარტოფილი მოდის და ფერმერებს (იგულისხმება ადგილობრივები) აქვთ, ჩვენ მაგდენი მიწა სად გვაქვს?! ფერმერებს აქვთ და ისინი კი თესავენ.“ (რესპონდენტი, ეკომიგრანტი სოფ. გორელოვკა/ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)*

ამავე დროს ეკომიგრანტები აღნიშნავენ, რომ ცალკეული ფიზიკური პირები ჯავახეთის რეგიონში ასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო ფართობებს ფლობენ, რომელთაც თვითონ ვერ ითვისებენ და იჯარით გასცემენ ეკომიგრანტებზე საკმაოდ კაბალური პირობებით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფეოდალური მიწათმფლობელობის მსგავსი რუდიმენტური პრაქტიკის დანერგვას და არღვევს ეკომიგრანტების გარკვეულ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს.

> „სხვას რომ აქვს, იმას კი არ ვუჩივი, რატომ აქვს. მაგრამ იმას აქვს ათასობით, 1500 ჰექტარი და მე 2 ჰექტარი. მეც ხო უნდა მომცე, მისი მსახური ხომ არ უნდა ვიყო. აქ მონად ხომ არ ჩამოვყავართ, არა?!“ (რესპონდენტი ეკომიგრანტი სოფ. გორელოვკა/ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)

3. არასაკმარისი კომუნიკაცია/ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან და კომუნიკაციის არარსებობა ეროვნულ და რეგიონულ ხელისუფლებასთან

- გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ რამდენადმე საგულისხმო კომუნიკაციას ცენტრალური მთავრობის და არც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ აქვს, თუ არ ჩავთვლით წინასაარჩევნო კამპანიებს და მათთან დაკავშირებულ საჯარო ღონისძიებებს. ეკომიგრანტები არ იღებენ რაიმე ინფორმაციას პასუხისმგებელი უწყებებისგან ეკონომიკური შესაძლებლობების, საერთაშორისო დონორების, საგრანტო დაფინანსებებისა თუ განვითარების სხვა სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. ამ სახის ინფორმაციაზე წვდომა მათთვის მხოლოდ მათივე პროაქტიული მოქმედების შედეგად ხდება შესაძლებელი.

> *„მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ ინფორმაცია კლიმატის შესახებ. ასევე იმის შესახებ, როგორი მიწაა, არის თუ არა ხელმისაწვდომი განათლება ბავშვებისთვის, არისთუ არა დაშორებული სოფელი სხვა პუნქტებს, მაგალითად, არის თუ არა ახლოს პირველადი დახმარების და სამედიცინო პუნქტები. ასევე აუცილებელია, გამოყოფილი იყოს წარმომადგენელი ადგილობრივ გამგეობაში, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ეკომიგრანტებზე და იქნება ასევე დამაკავშირებელი რგოლი სახელმწიფო სტრუქტურებთან.“ (არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენელი)*

გარდა ამისა, არასაკმარისი კომუნიკაცია იწვევს ეკომიგრანტების გარკვეულად მარგინალიზაციას და აფერხებს მათ ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს.

> *„სირთულეა შეგუების პროცესი, სიახლეების პროცესი, ბევრი ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, ეს ყველაფერი რთულია, ამდენი სიახლის და ახალი უნარ-ჩვევების ათვისება, მით უმეტეს, როცა პრობლემა ექმნებათ ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით, შეიძლება არ ჰქონდეთ სასმელი წყალი, არ იყოს კანალიზაცია, გასათბობი საშუალებები. მთლიანად იცვლება მათი ცხოვრება...“ (არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე რეგიონები“-ის წარმომადგენელი).*

4. გამოყოფილი საცხოვრისისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის პრობლემა

- ეკომიგრანტებს რელოკაციისას გამოეყოფათ საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი 2 ჰექტრის ოდენობით, თუმცა დიდწილად დღემდე გამოყოფილი

საცხოვრისისა და მიწის ფართობის მათ საკუთრებაში დაკანონება არ მომხდარა. სუბიექტური დაკვირვებით, აღნიშნულის მიზეზი არაგეგმაზომიერი პოლიტიკა და მოსახლეობის ამ კატეგორიის პრობლემების მიმართ არასისტემური მიდგომაა.

> *„ჩვენ გვითხრეს ასეთი, ხულოში თათბირი რომ ჩაგვიტარეს, მანდ რომ ჩახვალთო 2 ჰექტარი მიწა იქნება კერძო, 5-10 არენდის სახითაო და ძროხებს მოგცემთ თითოს ფერმერიო. აქ რომ ჩამოვედით, გაუქმდა. არაფერი მიგვიღია. მიწები 2 ჰექტარი ძალაუნებურად მოგვცეს. სახლები ზოგი გააფორმეს, ზოგი არა. გააფორმეს როგორი სახით, მაშინ გვითხრეს რომ 5 წლის ვადაში თუ წამოხვედით უკან გასაღები მოიტანე და ჩაგვაბარეო. 5 წლის შემდეგ შენ დაგირეგისტრირდებაო. ჩემმა დისშვილმა გააფორმა სახლი მაგრამ ხელშეკრულებაში უწერია რომ ვერც გაყიდის, ვერც ლომბარდში ჩადებს". (რესპონდენტი, ეკომიგრანტი, სოფ. გორელოვკა/ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)*

აღნიშნული აფერხებს ეკომიგრანტების მიერ ეკონომიკური მდგრადობის მიღწევას, მათ ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციასა და არღვევს საკუთრებისა და ცხოვრების სათანადო სტანდარტის მიღწევის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

5. ნიჰილიზმი მთავრობის მიმართ - ეკომიგრანტი მოსახლეობის გამოკითხვების დროს გამოიკვეთა საკმაოდ საგულისხმო და ყურადსაღები ტენდენცია ხელისუფლებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების, რომელიც განპირობებულია რწმენით, რომ ხელისუფლებისთვის ეკომიგრანტი მოსახლეობა სათანადო ზრუნვის საგანს არ წარმოადგენს და მათი პრობლემები და მოთხოვნილებები გარკვეულწილად უგულებელყოფილია.

> *„აქ არასამთავრობო უფრო მეტ ყურადღებას გვაქცევს, ვიდრე სხვა. ხან რით გვეხმარებიან და ხან - რით. მე აქ კაცი არ მინახავს ჩამოსული მთავრობიდან.'' (რესპონდენტი, ეკომიგრანტი, სოფ. გორელოვკა/ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი).*

გამოკითხვებისას, არაპროტოკოლურ საუბრებში მოსახლეობა გამოხატავს აზრს, რომ სოციალური და ეკონომიკური დახმარებები მათთვის მიუწვდომელია და შეგნებულად ფერხდება გარკვეულ ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფების სასარგებლოდ. ანალოგიური ტენდენციებია ასევე საწარმოო რესურსებზე ეკომიგრანტების წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რისთვისაც, ხშირ შემთხვევებში, გამოიყენება კანონით დაშვებული მექანიზმებიც კი (მაგ. მიწის აუქციონი).

6. ეკომიგრანტთა რელოკაციის ხარჯების არაგეგ-მაზომიერი და არასისტემური დაფარვა - 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში ფიქსირდება ეკომიგრანტების რელოკაციის რამდენიმე ნაკადი, რომლის დროსაც ხელისუფლების როლი რელოკაციის პროცესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით აშკარად განსხვავებულია ხელისუფლების ვალდებულებების გაურკვევლობისა და სისტემური მიდგომის დაკანონების არარსებობის გამო. ერთ-ერთი რესპოდენტი საუბრობს არსებული პროგრამის მიდგომების გადახედვაზე:

> *„საჭიროა ბენეფიციარზე ქულების მინიჭების გადახედვა - მაღალი ქულა ენიჭება ოჯახს თუ ჰყავს მრავალსულიანობა (7 და მეტი წევრი), 18 წელს ქვემოთ ოჯახის წევრი (3 და მეტი), პენსიონერი, შშმ პირი, შემწეობის მიმღები. შეიძლება, საფრთხის რისკის ქვეშ მყოფ ერთ ეზოში ორი სახლიდან ამ ქულის გამო ერთი მოხვდეს პროგრამაში და მეორე - ვერა." (რესპონდენტი ხულოს გამგეობიდან)*

მაგალითისთვის, 90-იანი წლების დასაწყისში რელოკაციისას ხელისუფლების მიერ სრულად მოხდა რელოკაციის ყველა ძირითადი ხარჯების დაფარვა (სამოსახლო, ტრანსპორტირება და მისთ.), თუმცა იგივე არ მომხდარა 2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა დაპირებას, რომ ყველა დაკავშირებული ხარჯი ანაზღაურდებოდა, თუმცა ეს დაპირებები სრულად არ შესრულებულა და ეკომიგრანტებს მოუწიათ საკუთრივ ამ ხარჯების დაფარვა, ბევრ მათგანს კი ამისთვის ფინანსური ვალის აღებაც დასჭირდა.

7. კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის საკითხები - საჯარო კონსულტაციების პროცესში ირკვევა, რომ ეკომიგრანტების დაკვირვებით, ადგილი აქვს სასოფ-ლო-სამეურნეო სეზონის ერთი თვით გახანგრძლივებას, რაც დათბობით არის გამოწვეული. ამასთან ერთად, დათბობის პარალელურად აღნიშნავენ წლიური ნალექების შემცირებასაც. ასევე აღინიშნა ამ სახის ცვლილებებთან ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების დანერგვის საჭიროებაც. მაგალითად, განსაკუთრებით აღინიშნა წიწიბურას წარმოების მიზანშეწონილობა, რომელიც იმპორტის ჩანაცვლების პერსპექტივასაც შექმნიდა კლიმატ-გონივრულობის გარდა და, შემცირებული ნალექების ფონზე, შემგუებლური და შემოსავლიანი კულტურით ჩანაცვლების შესაძლებლობასაც გააჩენდა ძვირად-ღირებული საირიგაციო სისტემების განვითარების საჭიროების ნაცვლად. ნებისმიერ შემთხვევაში,

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ადგილმონაცვლეთა განსახლების ადგილებში სახეზეა გლობალური დათბობისა და შემცირებული წლიური ნალექების ფონზე საირიგაციო სისტემების ქსელის განვითარების გარდაუვალი საჭიროება, რაც უზრუნველყოფდა მოსავლიანობისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და ეკონომიკურ სტაბილურობას.

8. ინფორმაციის გამჭვირვალობის დეფიციტი და არაკეთილსინდისიერ ქმედებათა ტენდენციები ეკომიგრანტთა მხრიდან - ჯერ კიდევ სახალხო დამცველის 2013 წლის სპეციალური ანგარიშის ანალიტიკურ და სარეკომენდაციო ნაწილებში მოცემულია, რომ სათანადო საინფორმაციო მონაცემთა ბაზის არარსებობა არის უმთავრესი მიზეზი არაგეგმაზომიერი და უსისტემო პოლიტიკის წარმოებისა ეკომიგრანტების მიმართ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013). მონაცემთა ელექტრონული ბაზა ეკომიგრანტების შესახებ დღემდე არ გაკეთებულა, შესაბამისად, დღესაც, ისევე როგორც ათი წლის წინ, ეკომიგრანტთა მიკვლევადობა დიდ პრობლემას წარმოადგენს.

> *„ვინმე ეკომიგრაციაზე ცალკე მუშაობდეს, არ გვყავს. ამ ხალხს სტატუსიც არ აქვს და შტატშიც არ არის გათვალისწინებული, რომ ვინმე შეიძლება მათზე მუშაობდეს. როგორც ეკომიგრანტები, არ არსებობენ და ისე უმრავლესობა სოციალურად დაუცველია და როგორც ყველა სხვას, მათაც ვეხმარებით. [ეკომიგრანტებს] არც სტატუსი აქვთ და არც კანონი გვაქვს, რომ როგორც ეკომიგრანტს, ისე მოვექცეთ.“ (ნინოწმინდის გამგეობა- ანონიმური რესპონდენტი)*

გარდა იმისა, რომ მონაცემთა ბაზის არარსებობა ამუხრუჭებს გეგმაზომიერი პოლიტიკის შემუშავების პროცესს, იგი ასევე იძლევა ეკომიგრანტების მხრიდან რელოკაციის პროცესებში არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის შესაძლებლობებსაც. როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების გამოკითხვისას დადგინდა, არის შემთხვევები, როდესაც ეკომიგრანტები სარგებლობენ მონაცემთა ინტეგრირებული ბაზის არარსებობით გამოწვეული მიკვლევადობის სისტემის გაუმართაობით და სახელმწიფოს ხარჯზე რელოკაციის ერთდროულად რამდენიმე ადგილას რამდენიმე ერთეულ უძრავ ქონებას ეუფლებიან.

4.1 პოლიტიკის ადვოკატირების გზავნილები - ორიენტირები ეკომიგრანტების მხარდამჭერი პოლიტიკის გასაუმჯობესებლად

- **ეკომიგრანტის ოფიციალური სტატუსი** - ჩამოყალიბდეს და კანონმდებლობით დამტკიცდეს ეკომიგრანტის სამართლებრივი დეფინიცია და განისაზღვროს პირთა წრე, რომელზეც გავრცელდება აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი;
- **ეკომიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა** - სამართლებრივად გამომუშავდეს და დამტკიცდეს ეკომიგრანტების განსახლების ახალ ადგილებში ადაპტაციისა და ინტეგრაციის სტრატეგია და სახელმწიფოს მიერ გასაწევი შესაბამისი მომსახურების ნუსხა და მეთოდოლოგია;
- **ეკომიგრანტებისთვის სამოსახლოს და საწარმოო რესურსების საკუთრების უფლების რეალიზება**- გამომუშავდეს ერთიანი მიდგომა ეკომიგრანტებისთვის სამოსახლოსა და საწარმოო რესურსის საკუთრებაში დაკანონების შესახებ და მოხდეს მათთვის უკვე გამოყოფილი უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა;
- **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება** - ადგილმონაცვლეთა რელოკაციის რეგიონებში სახეზეა გლობალური დათბობით გამოწვეული აგრარული სეზონის გახანგრძლივება და წლიური ნალექების შემცირება, რაც ქმნის ახალი შემგუებელი და შემოსავლიანი კულტურების წარმოების დანერგვისა და საირიგაციო ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებებს;
- **ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა**- განხორციელდეს სტიქიის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებულ პირთა - ეკომიგრანტთა მონაცემების ერთიანი ელექტრონული ბაზის ფორმირება.

5
კვლევის ძირითადი დასკვნა და რეკომენდაცია ძირეული პოლიტიკური ხედვის შესახებ

ჩვენი რეკომენდაციაა, ეკომინგრანტების ხელშემწყობი პოლიტიკა შემდეგ ძირეულ ხედვას დაეფუძნოს: საქართველოში ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა უნდა წარმოადგენდეს არა ერთჯერადი დახმარების აქტს, არამედ მათი ჩასახლების არეალების გრძელვადიანი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ პროგრამას!

ხედვის განმარტება: საქართველოში ეკომიგრანტების უდიდეს უმრავლესობას მთიანი აჭარიდან გადასახ-ლებულები წარმოადგენენ. მთიანი აჭარა ერთადერთი მთიანი რეგიონია საქართველოში, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის სიჭარბეს, მისი განსახლების დიდ სიმჭიდროვეს და საწარმოო რესურსების უკიდურეს სიმწირეს. ეკომიგრანტები მთიანი აჭარიდან ძირითადად განსახლებული არიან სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც სახეზეა მოსახლეობის სიმცირე (დეპოპულაცია), განსახლების დაბალი სიმჭიდროვე და საწარმოო რესურსის (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და საძოვრები) შედარებითი სიჭარბე. ამ პირობებში ეკომიგრანტების რელოკაციის ადგილები, მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მიუხედავად, გამოირჩევა დაბალი ეკონომიკური აქტივობით. შესაბამისად, მოსახლეობისგან დაცლილ არეალებში ეკომიგრანტებისგან შემდგარი ეკონომიკურად საკმაოდ მაღალი აქტივობის მქონე და კვალიფიციური მოსახლეობის გაჩენა უთუოდ წარმოადგენს ამ არეალებში ეკონომიკური აქტივობის ამაღლებისა და ადგილობრივი ეკონომიკის აღორძი- ნებისა და შემდგომი ზრდის პერსპექტივას. შესაბამისად, ეკომიგრანტებისთვის აუცილებელ საწარმოო რესურსებზე სათანადო წვდომის უზრუნველყოფა აუცილებელია ადგილებზე მასშტაბის ეკონომიკის მისაღწევად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ეკომიგრანტებისთვის მხოლოდ სამოსახ- ლოსა და თვითუზრუნველყოფისთვის საკმარისი მიწის ფართობის გამოყოფით არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს სათანადო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსებზე/კაპიტალზე და საწარმოო ბაზაზე წვდომასა და წარმოების ორგანიზების ეფექტიანი ფორმების დანერგვას (მაგ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემა). სწორედ ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა ეკომიგრანტების ჩასახლების არეალების ეკონომიკური აღმავლობის მდგრადი პროცესის უზრუნველყოფა და ამით ბუნებრივი სტიქიით გამოწვეულ ადგილმონაცვლეთა სოციალური, ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა

თევზაძე, რ. (2020). შესავალი კატასტროფების რისკების შემცირებსთან დაკავშირებით. თბილისი: GCF. მოპოვებული https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_ee_introduction_climate-driven-disasters_publication_2020_geo.pdf-დან

ლაილი, ჯ. (2012). ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში: განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები. EMCI. მოპოვებული https://www.ecmi.de/fileadmin/doc/Working_Paper_53_Geo.pdf-დან

საქართველოს მთავრობა. (2018 წლის 14 სექტემბერი). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/4325651?publication=0-დან

საქართველოს მთავრობა. (2022, იანვარი 12). 2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ. რეფერალური მომსახურება. მოპოვებული https://www.moh.gov.ge/uploads/files/2022/referali/referaluri_momsaxureba-2022.pdf

საქართველოს პარლამენტი. (2010 წლის 17 სექტმბერი). საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მოპოვებული https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=202-დან

საქართველოს პარლამენტი. (2014 წლის 05 თებერვალი). ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=67-დან

საქართველოს პარლამენტი. (2014 წლის 24 თებერვალი). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506?publication=7-დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (2013). სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა (სპეციალური ანგარიში). მოპოვებული https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041315541069366.pdf-დან

Abdusheleishvili, G. (2021). GEORGIA. D. S. Fuys A.-ში, Moving Toward Resilience: A Study of Climate Change, Adaptation and Migration [სვლა გამძლეობისკენ: კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და მიგრაციის შესწავლა] (გვ. 38-53). New York: Church World Service. მოპოვებული https://cwsglobal.org/wp-content/uploads/2021/08/Moving-Towards-Resilience-1.pdf-დან

Government of Georgia. (2021). GEORGIA'S 2030 CLIMATE CHANGE STRATEGY (MITIGATION) [საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგია (შერბილება)]. მოპოვებული https://policy.asiapacificenergy.org/sites/default/files/Georgia%27s%202030%20Climate%20Change%20Strategy%20%28Mitigation%29.pdf-დან

Green alternative. (2022). Overview of interventions supporting land-related investments [მიწასთან დაკავშირებული მხარდამჭერი ინტერვენციების მიმოხილვა]. Green alternative. მოპოვებული https://greenalt.org/app/uploads/2022/12/land-related_investments_Nov2022_ENG.pdf-დან

McAuliffe, M., & Triandafyllidou, A. (2022). WORLD MIGRATION REPORT 2022 [მსოფლიო მიგრაციის ანგარიში 2022]. Geneva: International Organization for Migration. მოპოვებული https://publications.iom.int/books/world-migration-report-2022-დან

UN General Assembly. (2023). Providing legal options to protect the human rights of persons displaced across international borders due to climate change [კლიმატის ცვლილების გამო საერთაშორისო საზღვრებს გარეთ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფა]. მოპოვებული https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G23/073/25/PDF/G2307325.pdf?OpenElement-დან

აბრევიატურები

FES	ფრიდრიხ ებერტის ფონდი
CWS	ეკლესიათა მსოფლიო საბჭო
RCDA	სოფლად თემთა განვითარების სააგენტო
CMDP	კლიმატის, მიგრაციისა და ადგილმონაცვლეობის გლობალური სამოქალაქო პლატფორმა
LAG	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
SEMA	საქართველოს ეკოლოგიურ ფერმერთა ასოციაცია
BSEA	შავი ზღვის ეკო აკადემია

ავტორის შესახებ

ლევან დადიანი არის სოფლის განვითარების ექსპერტი 25 წლიანი გამოცდილებით. მისი პროფესიული გამოცდილება მოიცავს სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას, მათ შორის სოფლად მცხოვრები ეკოლოგიური მიგრანტებისთვის. იგი მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში: (OXFAM დიდი ბრიტანეთი, "ფიფლ ინ ნიიდ'(PIN), CARE, შვეიცარიის განვითარების სააგენტო (SDC)), მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სხვადასხვა პროგრამის განხორციელებისას. ამჟამად ის არის სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს (RCDA) ეკომიგრანტებთან დაკავშირებული დიალოგის და ადვოკატირების მიმართულების კონსულტანტი.

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:
მარსელ როტიგი | სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ.: +995 32 225 07 28

http://southcaucasus.fes.de/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:

Georgia@fes.de

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობით თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას

ეროვნული კონსულტაცია კლიმატის, უფლებებისა და გადაადგილების შესახებ

ეკომიგრაცია, რომელიც აკმაყოფილებს კლიმატის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების საჭიროებებს საქართველოში

→

საქართველოს კონტექსტში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ადგილმონაცვლე პირებისთვის მათი განსახლების ახალ არეალებში იკვეთება გარკვეული სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივები (ე.წ. „მიგრაციის პოზიტივი“).

→

საქართველოში ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა უნდა წარმოადგენდეს არა ერთჯერადი დახმარების აქტს, არამედ მათი ჩასახლების არეალების გრძელვადიანი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ პროგრამას.

→

მოსახლეობისგან დაცლილ არეალებში ეკომიგრანტებისგან შემდგარი ეკონომიკურად საკმაოდ მაღალი აქტივობის მქონე და კვალიფიციური მოსახლეობის გაჩენა უთუოდ წარმოადგენს ამ არეალებში ეკონომიკური აქტივობის ამაღლებისა და ადგილობრივი ეკონომიკის აღორძინებისა და შემდგომი ზრდის პერსპექტივას.

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

www.southcaucasus.fes.de
www.rcda.com.ge

FRIEDRICH EBERT STIFTUNG